# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 34 ნიუ-იორკი. სექტემბერი, 1959 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, SEPTEMBER 1959

### ნიუ-იორკი. სექტემბერი 1959წ.

უკანასკნელ მნიშვნელოვან ამბებთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება მოვიგონოთ, რომ თავისუფლების მესაფლავე ხრუშჩოვი დაიბადა 1894 წლის აპრილში, ხოლო დაბადებიდან 22 წლის თავზე ის მიეკუთნა კომუნისტურ პარტიას. მან დაასრულა პარტიული სკოლა, რომელიც ლენინმა კომუნისტური კადრების აღსაზრდელად დაარსა. ამგვარად ის აღიზარდა კომუნისტურ მორალზე და საუკეთესოდ შეითვისა პარტიულ იდეოლოგიასთან ერთად შინა პარტიული ინტრიგები, დაუნდობლობა, მრისხანება და მკვლელობა.

ლენინის სიკვდილის შემდეგ რუსულ კომუნისტურ პარტიაში პირველობისათვის ატეხილ დავაში ხრუშჩოვი მიემხრო სტალინს და მისი პროპაგანდისტი გახდა. უკრაინის სხვა და სხვა ქალაქებში, დაბებში და სოფლებში „დონბასელი მუშის“ ფსევდონიმით ეწეოდა სტალინის სასარგებლოდ დაუღალავ და ენერგიულ პროპაგანდას.

როდესაც სტალინმა დაიმკვიდრა პირველობა მან არც თავისი „სოტოლეიტენანტები“ დაივიწყა და ხრუშჩოვი მთელი უკრაინის უთლება შეუზღუდველ მფლობელად დანიშნა. 1937-38წლებში, როდესაც სტალინმა სისხლის ზღვა დააყენა, მას არც ხრუშჩოვი ჩამორჩა და უკრაინის საუკეთესო შვილებს თავისი პარტიული ამხანაგებიც მიაყოლა და ყველას ერთად მუსრი გაავლო.

ხრუშჩოვის მუხანათობას ნათლად ამჟღავნებს სწორედ იმ პერიოდში (1937წ.) ერთი ფაქტი: ხრუშჩოვმა დიდი ბანკეტი მოაწყო; დაპატიჟა მისგან განწირული ამხანაგები, შემდეგ ლხინის დროს თავს დაასხა საიდუმლო პოლიცია და გაალეტინა. ცხადია ეს „ნიჭიერად“ მოწყობილი მკვლელობა სტალინის თვალში მას უფრო გაზრდიდა და ნდობას მოუმატებდა. მართლაც, ხრუშჩოვი გაიზარდა, განდიდდა და სტალინის სისხლის ღვრების ერთი თვალსაჩინო აქტიური მომქმედი პირი გახდა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ კრემლში ხელახლა ატეხილ პირველობისათვის ბრძოლებში, ხრუშჩოვმა ზედმიწევნითი სიზუსტით გაიმეორა სტალინის ტაქტიკა: ჯერ განაგვირგვინა თავისი „გამზრდელი“ და მასწავლებელი და ის ხალხის მტრად და მეკობრეთ გამოაცხადა, შემდეგ ხელი მიჰყო სავარაუდო კონკურენტების მოშორებას. პირველ რიგში მოკლა (თუ მოაკვლევინა) საიდუმლო პოლიციის სისხლის მსმელი მეთაური ბერია. შემდეგ „ანტიპარტიული“ მუშაობისათვის გაყარა და მმართველობას განაშორა მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მარშალი ჟუკოვი და უფრო გვიან ბულგანინი. დასავლეთელების ზეპირ და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ შეფასებით ეს ფაქტიც ხრუშჩოვის ლმობიერების და კომუნიზმის გალიბერალებით აიხსნება. მათ ავიწყდებათ, რომ ესეც სტალინის ტაქტიკის განმეორებაა. არც სტალინს დაუწყვია თავისი კონკურენტების დაუყონებელი დახოცვა. მან ტროცკი ჯერ კავკასიაში, მერე ოსმალეთში გადაასახლა და მხოლოდ გვიან, მექსიკაში მოაკვლევინა თავის აგენტს. ასეთი „ლმობიერებით“ დაიწყო სტალინმაც პიროვნული დიქტატურისაკენ სვლა. ამავე გზით მიემართება მისი კარიკატურა ხრუშჩოვი.

1956 წელში სტალინი უკვე მკვდარი, განგვირგვინებული და ხრუშჩოვის „კოლექტიური მმართველობა“ და „გალიბერალებული კომუნიზმი“ დამყარებული იყო. მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა, რომ მარტში ხრუშჩოვის „კოლექტიური მმართველობის“ ბრძანებით ტფილისის ქუჩებში რუსულ ტანკებს ესრისა ქართველი მამულიშვილები და რუსულ ტყვიამფრქვევებს განუკითხავად ეცხრილად დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი თუ ნორჩი

„კოლექტიური მმართველობის“ ავტორს და „გალიბერალებული კომუნიზმის“ ლიდერს ხელი არაფერმა შეუშალა, რომ იმავე 1956 წელში მონგოლური შეუბრალებლობით ეკლიტა უნგრელი მამულიშვილები და რუსულ ტანკებს გადაეხნა მთელი უნგრეთის ტერიტორია

ამავე „გალიბერალებული კომუნიზმის“ ავტორს—ხრუშჩოვს ხელი არაფერმა შეუშალა, რომ ჯერ საჯაროთ აღეთქვა უნგრელ აჯანყებულთა ლიდერ ნაგისათვის „თავისუფალი თავდაცვის შესაძლებლობა“ და შემდეგ ქურდულად, ყაჩაღურად მოეკლა.

აი რა ავაზაკი გვესტუმრება ამ თვის ნახევარში და ვისთან მოუხდება ამერიკელ მოქალაქეს შეხვედრა!

სწორდ ამიტომ სამძიმარს უცხადებთ შეერთებულ შტატებს და მის ყოველ ქალაქს, რომელსაც ხრუშჩოვი ინახულებს.

სამძიმარს უცხადებთ შეერთებული შტატების ყოველ მოხელეს, რომელიც იძულებული იქნება ამ ტირანს ხელი გაუწოდოს, მასთან და ჯდეს და მას ემუსაიფოს.

სამძიმარს უცხადებთ შ. შტატების ყოველ მოქალაქეს, რომ იძულებული არის ამ გაიძვერა მკვლელს, თავისუფლების პრინციპის გამთელავს, მსოფლიო აღრეულობის და მრავალ სამოქალაქო, თუ მეზობელ სახელმწიფოთა შორის სისხლის ღვრის პირდაპირ დამნაშავეს, კარი გაუხსნას და თავისუფლებისთვის მებრძოლ ამერიკელების სისხლით მორწყულ მიწაზე გაატაროს.

სამძიმარს უცხადებთ ყოველი ერის ემიგრანტს, რომელსაც ხრუშჩოვმა წაართვა სამშობლო, მოსწყვიტა მშობლიურ მიწას, დაანატრა მშობლიური ჰაერი და თავისუფლების, სამართლიანობის და მაღალ დამოკრატიულ პრინციპების აკვან—შ. შტატებს შეაფარეს თავი იმ იმედით, რომ თავისუფალ შრომასთან ერთად, მსოფლოში გაუგონარი ტირანიის წინაამდეგ ბრძოლის შესაძლებლობა კვლავ მიეცემად.

## ეროვნული ერთობისაგან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შ. შტატები გამოვიდა არა მარტო საკუთარი პოლიტიკის მფლობელი, არამედ მის პოლიტიკაზე შეიქმნა დამოკიდებული მთელი დასავლეთი და მსოფლიოში თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნები. ამგვარად, შეერთებული შტატების პოლიტიკა გადაიქცა თავისუფლებისთვის მებრძოლ კაცობრიობის პოლიტიკად და მის დასაყრდენად, იმედათ. და ეს მოხდა ყოველგვარი „რევოლუციების“ და ძალდატანების გარეშე ვინაიდან, მთელი კაცობრიობა იცნობდა არა მარტო შ. შტატების თავისუფლების პრინციპებს, არამედ მისი პოლიტიკის მორალს, ან უკედ ვსთქვად პოლიტიკის რელიგიას. ამერიკის მიერ თავისუფლების პრინციპის პატივისცემა ნათლად გამოჩნდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების პირველ ხანებში, როდესაც ქვეყნიერებამ დაინახა, რომ დამარცხებულ გერმანია-იაპონურ კოალიციას არამც თუ არაფერი არ წაართვა და არ მიითვისა ამერიკამ, არამედ ხელი შეუწყო და დაეხმარა, რათა აღედგინა და განემტკიცებინა დამარცხებული ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა და ეროვნულ პოლიტიკური თავისუფლება.

სამაგიეროთ რუსეთი დარჩა გასული საუკუნეების მტაცებლურ-იმპერიალისტური პრინციპის პოზიციაზე და არა მარტო ცეცხლითა და მახვილით გააბატონა, დამარცხებულ და მის „ზონად ქცეულ“ ქვეყნებში თავისი ტირანული მმართველობის პრინციპი, არამედ მათ წაგლიჯა და მიითვისა ტერიტორიების დიდი ნაწილიც. პრინციპების ამ აშკარა დაპირდაპირებაში თავისუფლებისთვის მებრძოლ კაცობრიობამ დაინახა და დააფასა ამერიკული პოლიტიკის მორალურ-რელიგიური საფუძვლები და ამის გამო ამერიკა გადაიქცა თავისუფლებისთვის მებრძოლ კაცობრიობისათვის არა მარტო იმ ფიზიკურ ძალად, რომელსაც შეეძლო რუსულ კომუნისტურ იმპერიალიზმისაგან კაცობრიობის ხსნა, არამედ ის შეიმოსა თავისუფლებისთვის მებრძოლ ერების ნდობითა და სიმპატიით და ამრიგად ამერიკა გადაიქცა თავისუფლების პრინციპის მედროშედ და თავისუფლებისათვის მებრძოლ ერების სულიერ და მორალურ ლიდერად. აი, რატომ მოხდა ამერიკის მსოფლიო ლიდერის როლში „ურევოლუციოდ“ და ბუნებრივად გამოსვლა.

თუ ომის პერიოდში დასავლეთის მომაკვდინებელი შეცდომების წყალობით რუსეთი მსოფლიო პოლიტიკის ერთ უძლიერეს ფაქტორთაგანად გადაიქცა, საფიქრებელი იყო, რომ „მარშალის პლანი ტრუმანის“ და უფრო გვიან „აიზენჰაუერის დოქტრინა“ იმ ძალათ გადიქცეოდა, რომელიც ამერიკას შეუნარჩუნებდა მსოფლიო ლიდერის როლს და ფაქტიურად აღკვეთავდა რუსული კომუნიზმის ექსპანსიას და მის საშიშროებას. ასე გაიგო დასავლეთის საზოგადოებრივმა წრეებმა თვით ევროპიული თავდაცვს ორგანზაციის მიზანი და ამის გამო შეიმოსა ის საზოგადოებრივი ნდობით.

სწორედ ამ პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი ამბავი: საბჭოთა კავშირს მოუკვდა მისი მრისხანე ლიდერი. მისმა მემკვიდრეებმა იგი განაგვირგვინეს და „კომუნიზმისა და კაპიტალიზმის თანაარსებობის“ პროპაგანდა უფრო გააღრმავეს და გააძლიერეს. ომისაგან დაშინებულ და მოდუნებულ დასავლეთელების გონებაში საბჭოთა პოლიტიკის ევოლუციის და მისი გალიბერალების იმედმა დაისადგურა და დასავლეთის „კოლექტიური თავდაცვის და კომუნისტური იმპერიალიზმის საწინაამდეგო სიმტკიცე გაიბზარა. მაშასადამე გაჩნდა ის სუსტი ადგილი, რომლის გაყოლებაზე საბჭოთა კავშირს შეეძლო დასავლეთის კოალიციის დარღვევა და მათი გათიშვა.

თუმცა მალე გამოირკვა, რომ ხრუშჩოვი არაფრით არ დაშორებია მის მიერ დაწუნებულ და განგვირგვინებულ სტალინის ზრახვებს და მასაც ისევე ცეცხლითა და მახვილით, მონობით და სილატაკით სურს პეტრე დიდის ანდერძის განაღდება—რუსეთის მსოფლიოში გაბატონება, როგორც სტალინი ლამობდა და ეს დაუფარავი სიცხადით ვამოამჟღავნა 1956წ. საქართველოს და უნგრეთის აჯანყებების სისხლში ჩახრჩობით, მაგრამ დასავლეთის შეშინებული გონებისათვის ეს საკმარისი საბუთი არ აღმოჩნდა მისი სისხლის მსმელი ტირანული ბუნების შესამცნობად. მათ აზროვნებაში მკვეთრად შეიჭრა და დაისადგურა ხრუშჩოვის მიერ საპროპაგანდოთ მოგონილმა „მშვიდობიანობის“ პრინციპმა და ლამის თან გადიყოლოს დასავლეთის თავისუფლების პრინციპი. ამას ზედ დაერთო ერთი ახალი გარემოება რომელიც დასავლეთის დაშინებულ გონებაში ახალ მღრღნელ მატლად შეიჭრა და მას დაეუფლა. ეს არის მოკლე ვადიანი ვიზიტებით საბჭოთა კავშირის შესწავლის ცდა და მისი შეფასება. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ მაღაროს თეატრალური კოსტუმებით გავლის, იქ მემაღაროეთა ბრიგადირებთან (რომლებიც ხრუშჩოვის პროპაგანდის უნტეროფიცრებია) მუსაიფის და მოსკოვში, ან ლენინგრადში ბანკეტზე არაყი და კავკასიური ხიზილალა საკმარისი დოკუმენტია, რომ ის საბჭოთა ცხოვრების სპეციალისტი გახდეს და საბჭოეთიდან დაბრუნებულნი თამამად უმტკიცებენ ქვეყანას, რომ იქ ცხოვრება მართლაც გამოიცვალა და უკეთეს ვერ ინატრებს კაცი. აი ის გულუბრყვილო და მიამიტი, დამნაშაურობამდე ყალბი პოზიცია, რომლიდანაც გამომდინარეობს დასავლეთელების შემდეგი შეცდომები, რომელსაც საბჭოთა დიპლომატია და კერძოდ ხრუშჩოვი ასე მოხრენილად იყენებს ფსიქოლოგიური და ცივი ომის მოსაგებად. საბჭოთა კავშირის ეს ახალი სპეციალისტები კი დათვის სამსახურს უწევენ დასავლეთის დიპლომატიას.

**საბჭოთა** დიპლომატიის მთელი ცდა იყო და არის, რომ დასავლეთის კოლექტიური თავდაცვა დაერღვია და ისენი ერთი მეორესგან გაეთიშა. ამ ნიადაგზე ხრუშჩოვმა მრავალჯერ შესთავაზა დასავლეთის ქვეყნებს და კერძოთ ამერიკას ცალკე მორიგებისა და და თავდაუსხმელობის პაქტები. ამავე მოსაზრებით ის გამუდმებითა ცდილობს „ოთხი დიდის“ მეთაურების შეკრებას და განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდა, რომ ხრუშჩოვი ამრიკის პრეზიდენტს ტოლად და სწორად ეცნო, მოეპატიჟა და მასთან ემუსაიფა. საბჭოთა ამ სისტემატიურ ცდას წინ ხვდებოდა დასავლეთელების გაურღვეველი კედელი იქამდე, ვიდრე არ გამრავლდა და არ გაძლიერდა საბჭოთა კავშირის „ათ დღიან ვიზიტორ სპეციალისტები“. ამ ჟამათ კი ამ უკანასკნელებმა დაარწმუნეს დასავლეთის პოლიტიკის მესაჭენი, რომ თუ ხრუშჩოვს ამერიკაში მოიყვანენ, ისიც ისევე კარგად გაეცნობა და შეისწავლის ამერიკას, როგორც თვით მათ შეისწავლეს და გაიცნეს საბჭოთა კავშირი, მაშინ ხრუშჩოვი დარწმუნდება, რომ ჩვენ არავითარი ბოროტი ზრახვები არა გვაქვს და ამით განიტვირთება ომის ფსიქოზი და გაბატონდება მშვიდობიანობისაო. თუ აქედან წინდაწინ ირიცხება თავისუფლების პრინციპი, რამაც თავისუფლებისთვის მებრძოლ კაცობრიობის თვალში დასავლეთ და კერძოთ ამერიკა სულიერ-მორალურ ლიდერათ აქცია, ამას ანგარიშს აღარ უწევენ. ვიმეორებთ, ეს იყო და დარჩა საბჭოთა დიპლომატიის შრომისა და ბრძოლის მიზანი და საბჭოთა კავშირის ამ ათ დღიან ვიზიტორების გავლენამ საბჭოთა დიპლომატიის ეს მიზანი დასავლეთს მიაღებინა...

ამ საბედისწერო გადაწყვეტილებაში უდიდესი როლი ითამაშა შ. შტატების ვიცე პრეზიდენტ ნიკსონის რუსეთში მოგზაურობამ.

ნიკსონმა მრავალ შეცდომებთან ერთად პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მიამიტობაც გამოიჩინა და დაიჯერა, რომ მსოფლიო საჯაშუშო ორგანიზაციის ბელადს—ხრუშჩოვს, თურმე არა სცოდნია რომ ამერიკაში პრესის თავისუფლება არსებობს და ხრუშჩოვი პირობას ადებინებს, რომ მისი სიტყვა მთლიანად დაიბეჭდება და რადიოთი გადაიცემა! ძნელია წინასწარ თქმა; ნიკსონმა გულწრფელად მიიღო ხრუშჩოვის განცხადება თუ არა, ორივე შემთხვევაში მისმა მიამიტმა პასუხებმა ამერიკის შემყურე ანტიკომუნისტურად განწყობილი და საბჭოთა მონობის საწინააღმდეგოდ დარაზმულ ქვეყნიერების თვალში, ამერიკის ვიცე პრეზიდენტი გულუბრყვილო ბავშვად აქცია. ხოლო მისი მოსკოვის რადიოში გამოსვლა, სადაც მორიდებულად და მორცხვად უპასუხა ხრუშჩოვს: „ჩვენ არ გეტყვით, რომ თქვენმა შვილიშვილებმა კაპიტალიზმის ქვეშ უნდა იცხოვრონ“ და სხვა.... ადამიანს ეჩვენება პრინციპნაკლულოვანი, პოლიტიკურ პროგრამისა და მიზნების გარეშე მდგომი მიამიტი ადამიანი, რომელიც ხრუშჩოვის „თქვენმა შვილიშვილებმა კომუნიზმის ქვეშ უნდა იცხოვრონ“-ს ვერ უპირდაპირებს დასავლეთურ და კერძოდ ამერიკულ სამართლიანობის, თანასწორობის და თავისუფლების პრინციპს. ხოლო მისმა განცხადებებმა, რომ ხრუშჩოვი დიდებული ლიდერია და მას თავისუფალ ქვეყნებშიც შეეძლო, თავისუფალი არჩევნებით დაემკვიდრებინა ლიდერის როლი, ამან ხრუშჩოვი შემოსა იმ აუცილებელი პრესტიჟით, რომელც საჭიროა ფსიქოლოგიური ომის მოსაგებად. თუ ნიკსონი ამ თავისი თვინიერობით ლამობდა თავისი ან ამერიკული პრესტიჟის გაზრდას, მან სრულიად საწინაამდეგო შედეგს მიაღწია

შეუძლებელია რომელიმე კომუნისტურ პროპაგანდისტ იმდენი სამსახური გაეწია ხრუშჩოვისათვის, რამდენიც ამერიკის ვიცე პრეზიდენტმა, ამ თავისი მიამიტი განცხადებებით

დასავლეთის პოლიტიკის მესაჭენი დღეს სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ხრუშჩოვ აიზენჰაუერის შეხვედრამ შესაძლებელია განტვირთოს ომის ფსიქოზი, დამყარდეს მშვიდობიანობა და შეიქმნეს ნორმალური და უშიშარი ცხოვრების შესაძლებლობა, და რაც მთავარია განიარაღების შესაძლებლობაო.

ეს არის მოწინაამდეგისაგან დამფრთხალი და მოწინაამდეგის პროვოკაციაზე წამოგებული ადამიანის ზერელე აზროვნება, რომელიც მშვიდ და საღ კრიტიკას ვერ იტანს.

უპირველეს ყოვლისა რა არის, ან რის შედეგია მშვიდობიანობა, ნორმალური და უშიშარი ცხოვრება და შეიარაღება?

ნორმალურად საერთაშორისო მშვიდობიანობა დაცულია მხოლოდ მაშინ, როდესაც და

## ეროვნული ერთობისაგან.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.)

ცულია თავისუფლების პრინციპი. როცა ყოველ ერს, ხალხს აქვს უფლება თავისი ცხოვრება ისე მოაწყოს, როგორც მას სურს და როგორც მის ეროვნულ ინტერესებს და მის ისტორიულ ტრადიციებს უდგება. მშვიდობიანობა ირღვევა და კაცობრიობა საშიშროების ქვეშ დგება, როდესაც ხალხის შინაურ ცხოვრებაში სხვა, გარეშე ძალა ერევა და ცდილობს თავისი სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა თავს მოახვიოს. ხოლო მშვიდობიანობის დარღვევა იწვევს შეიარაღების გაძლიერებას და ქმნის საომარ ფსიქოზს. მაშასადამე ჩვენს წინაშე იჭრება თავისუფლების პრინციპი და არა მშვიდობიანობისა, რომელიც მხოლოდ შედეგია ან წარმომდინარე პირველისაგან.

განამჟღავნა რომელიმე აქტიდ ხრუშჩოვმა, რომ ის დამცველია თავისუფლების პრინციპის? საბჭოეთში ჩამწყვდეულ არა რუს ხალხს და ე. წ. სატელიტებს მოუშვა მონობის არტახები? მისცა უფლება ხალხს თავისუფლად აირჩიონ სოციალ პოლიტიკური სტრუქტურა და რეჟიმი და ხელი აიღო იმპერიალისტურ პოლიტიკაზე? ცხადია არა. ხრუშჩოვი უფრო შორსაც მიდის: ის მოურიდებლათ და თავხედურად უცხადებს ამერიკის ვიცე პრეზიდენტს, რომ თქვენმა შვილიშვილებმა კომუნიზმის ქვეშ უნდა იცხოვრონო. ამით მან აღიარა და დაადასტურა აქამდე დასავლეთში „ჭორად“ გავრცელებული მისი ზნე და ბუნება. ეს არის ხრუშჩოვის პროგრამა, საბჭოთა კავშირის არსებობის აზრი და მისი იმპერიალისტური საქციელის გამართლება. ამ პოზიციიდან გამორიცხულია არა მარტო თავისუფლების პრინციპი, არამედ შეთანხმების და თანაარსებობის შესაძლებლობაც. ხრუშჩოვისათვის დღვანდელი შეხვედრები დათათბირები დასავლეთის დამდაბლების, ხოლო თავის ამაღლბის საკითხია, მშვიდობიანობა კი დროს მოსაგებად მოგონილი ყალთაბანდობაა.

ცხადია დასავლეთს ომი არა სურს. ომი სძულს და ეზიზღება ყოველ ნორმალურ ადამიანს მთელი თავისი გამანადგურებელი შედეგებით. მაგრამ აქ თვალ წინ გვიდგება კბილებამდე შეიარაღებული ბანდიტი, რომელიც მკერდზე თოფს მოგაბჯენს და გეუბნება: მე მკვლელობის სურვილი არა მაქვს, მაგრამ უნდა გადამიხსნა შენი ჯიბე და მისი შემადგენლობა მომცე. ამ გვარ ბანდიტს, რომელიც პატარა ჯიბის პატარა შემადგენლობით კმაყოფილდება სამართალი სდევნის და სჯის. ხოლო უფრო დიდ ბანდიტს, რომელიც პატარა ჯიბის პატარა შემადგენლობის მითვისებით არ კმაყოფილდება, ხოლო პირველსავით კბილებამდე შეიარაღებული თოფს გვაბჯენს და გვეუბნება: ხელი აიღეთ თავისუფლების პრინციპზე, მიიღეთ ჩემი მონობის და სილატაკის პრინციპი და გამიადვილეთ, რომ თქვენი შვილიშვილები კომუნიზმის ქვეშ ვაცხოვროო, ამგვარ მსოფლიო მასშტაბის ბანდიტს არამც თუ არავინა სჯის, არამედ მას მაღალი მორალის პოლიტიკოსები ხელს უწვდიან და ტოლად, სწორად და თანაბრად ღებულობენ!

ამერიკა, რომელიც თავისი ბუნებით, წარმოშობით, თავისუფლებისთვის გადახდილი ბრძოლებით, თავისი კონსტიტუციით და იმ ზოგადი ფორმულით რომ „ადამიანები იბადებიან თანასწორნი“, გადაიქცა თავისუფლებისათვის მებრძოლ კაცობრიობის მედროშედ. ეს გარემოება მას ავალდებულებს უფრო სერიოზული ანალიზი გაუკეთოს საბჭოთა ცხოვრებას და მიზნებს, ვიდრე „ათ დღიან სტუმარ სპეციალისტების ინფორმაციებია და მხოლოდ მერე მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხრუშჩოვის საპროპაგანდო მშვიდობიანობის პრინციპზე წამოკიდებით ის სცდება თავის ბუნებრივ გზას და დანიშნულებას.

მილიონ ადამიანთა სისხლში ჩაფლული, ხალხის მასიური ჟლეტის და თავისუფლების პრინციპის მკვლელი, მსოფლოში მონობის და სილატაკის პრინციპის გაბატონების ფალავანი—ხრუშჩოვის აქ მოპატიჟება და პრეზიდენტის მიერ სწორად და ტოლად მიღება ჩვენთვის, მეტი რომ არა ვთქვად უცნაური აქტია.

სექტემბრის 15-ს თეთრ სახლში შეაბიჯებს მსოფლიო საჯაშუშო ორგანიზაციის მეთაური საქართველოს და უნგრეთის აჯანყების სისხლში ჩამხრჩობი და მილიონებით ტყვედ ქმნილ ადამიანების მეციხოვნე ხრუშჩოვი!

ეს დამამდაბლებელი აქტია. ეს თეთრი სახლის მაღალ დანიშნულების შეურაცყოფაა!

მიუხედავათ ამისა, ჩვენ გვწამს, რომ თავისუფლების პრინციპში ჩასახული და დავაჟკაცებული ამერიკის მეთაურს ზღვად შემოადგება ჯეფერსონის, ვაშინგტონის, ლინკოლნის და სხვა მის წინამორბედთა სახელმწიფოებრივი სიბრძნე და ისტორიაში ჯერ არ ნახული ტირანიის, საბჭოეთის მფლობელს არ გაათელვინებს არც თავისუფლების პრინციპს და არც თავისუფლებისთვის მებრძოლ ერთა უფლებებს.

ჩვენ გვწამს, რადგან ასეთია შეერთებული შტატების ზნე, წესი და ბუნება. ამაზეა დაშენებული მისი სახლმწიფოებრივი სიმტკიცე და მისი ისტორიული დანიშნულება. ამიტომ ამ მომავალ შეხვედრისაც იმედიანათ უყურებთ, რადგან ამერიკა ვერც თვითონ დასთმობს თავისუფლების პრინციპს და ვერც იმას აიტანს, რომ მსოფლიოს ერთ დიდ ნაწილში ის ითრგუნებოდეს და მეორე ნაწილიც მუდმივ საშიშროების ქვეშ იყოს.

ეს არის უკანასკნელი ცდა, ეს არის ჩვენი დროის „მიუნხენი“, რომელმაც ჰიტლერის პრესტიჟი ასწია და იქამდე გაზარდა, რაც საჭირო იყო, რომ მას სისხლის ზღვა დაეყენებინა და კიდეც დააყენა. ამ უკანასკნელ ცდასაც თან მოჰყვება ხრუშჩოვის პრესტიჟის გაზრდა, მაგრამ ამერიკა თავის არსში ატარებს თავისუფლებისადმი ტრფიალს და აქვს ის შინაგანი ძალა, რომელიც საკმარისი იქნება, რომ პატარ პატარა, პროპაგანდისტული ხასიათის გამარჯვებებით თავბრუ დასხმულ ხრუშჩოვის მადას ზღვარი დაუდოს და მისი ექსპანსია ალაგმოს. ამ რწმენით და იმედით უყურებს ამერიკას თავისუფლებისთვის მებრძოლი ქვეყნები და ამით უნდა ინუგეშებდეს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ერიც.

**უმაღლესი საბჭო.**

## მეორე მსოფლიო ომი და საქართ-ველო.

სექტემბრის პირველს შესრულდა 20 წელიწადი იმ საბედისწერო დღის, როცა დაიწყო ყველაზე სისხლიანი და ამავე დროს ყველაზე უაზრო და უმიზნო ომი, რომელიც კაცობრიობას ჯერ ჯერობით ახსოვს.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ ომმა ათეული მილიონობით ხალხი შიწირა, მაინც არამც თუ არ შენელებულა მსოფლიო ძალთა დაჭიმულობა და დაძაბულობის ატმოსფერო არ განწმენდილა, არამედ ეს უფრო განვითარდა და გაძლიერდა. შეიცვალა მხოლოდ საერთაშორისო დაჯგუფება. მსოფლიო დაძაბულობის ფაქტორები კი უცვლელნი დარჩნენ.

ე. წ. თავისუფალმა ქვეყნებმა დაუშვეს უპატიებელი შეცდომა, რომ ისენი ერთი მეორეს დაერივნენ, როდესაც მათ გვერდით არსებობდა კომუნისტური სიბოროტის სამეფო, რომელიც მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რომ ესარგებლა თავის მოპირდაპირეთა სისუსტიდ რათა „მსოფლიო რევოლუციის“ ხანძარი დაენთო და შთაენთქა ჯერ კიდევ მისი ტირანიის გარეშე დარჩენილი ქვეყნები.

თავისუფალი დასავლეთის ქვეყნებმა, არამც თუ ერთი მეორეში გააჩაღეს ომი, არამედ არც კი უფიქრიად საბჭოთა კავშირიც ამ ომში ჩაეთრიად და გაენადგურებინად. პირიქიდ მათ ყველაფერი ქნეს, რომ ის გაეძლიერებინად ამაში თანაბარი დანაშაული მიუძღვის ორივე მხარეს: როგორც ჰიტლერის გერმანიას, რომელიც ამაგრებდა საბჭოეთს ომის პირველ პერიოდში, ისე დასავლეთის დემოკრატიას, რომელმაც იგივე ჩაიდინა ომის მეორე პერიოდში

ომის ალში გაეხვია მთელი მსოფლიო და ადვილათ ასახსნელი მიზეზით, არ შეიძლებოდა გვერდზე დარჩენილიყო საქართველო. ამან შეიწირა ქართველ მამულიშვილთა დიდი რიცხვი და დაგვინგრია იმედი, რომ ჩვენი სამშობლო უახლოეს დროში განთავისუფლდებოდა მოსკოვის მრისხანე ბატონობისაგან.

ომის დასაწყისში დარწმუნებული ვიყავით, რომ ამა თუ იმ სახით, საბჭოთა კავშირს ჩაითრევდნენ ომში და ვანგარიშობდით, რომ ის მას წააგებდა. ცეცხლითა და მახვილით შექმნილი „კავშირი“ დაირღვეოდა და შიგ ჩამწყვდეული ერები აღიდგენდნენ თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას. საწუხაროდ, გარეშე ფაქტორების წყალობით, ჩვენი ანგარიში არ გამართლდა და საბჭოთა კავშირმა არამც თუ არ განიცადა კატასტროფა, არამედ ფაქტიურად ომიდან გამარჯვებული ერთად ერთი ის გამოვიდა. ამის წყალობით ის გადაიქცა მსოფლიო ვითარების ერთ მთავარ ფაქტორთაგანათ და ამავე გარემოებამ შიგნითაც გაზარდა მისი ძალა და გავლენა.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელია შემცდარათ ჩავთვალოთ ის მოსაზრებები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ქართველი პატრიოტები მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მხოლოდ დასავლეთის გაუთვალისწინებლობას და საბჭოეთის იმდროინდელი დიქტატორის სტალინის ნებისყოფამ გამოიყვანა კომუნიზმი გამარჯვებული, რომელიც ამის გარეშე დასაღუპად იყო განწირული.

თუ ქვეყნიერება ახალი ომის ალში გაეხვია, ძნელია თქმა, რომ ეს კვლავ საბჭოეთისათვის სასურველი მიმართულებით განვითარდება და საეჭვოა, რომ რუსეთმა შესძლოს იმ ყალიბს ახალი ლიდერის პოვნა, რომელიც დაკარგა.

რასაკვირველია ყოველივე ეს პირველხარისხოვანი ფაქტორებია, მაგრამ არ შეიძლება ამან წაგვართვას ყურადღება და მხედველობიდან გაუშვათ უფრო საყურადღებო მოვლენა, რომელსაც ჩვენი ქვეყნისათვის ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა

ეს არის ქართველი ხალხის სულიერ-ფსიქოლოგიური განწყობილება.

წარსულმა ომმა დაგვიმტკიცა, რომ ქართველი ერი სულიერად გაუტეხელია და დამოუკიდებლობის იდეა ისევე ცოცხლობს ძველ, როგორც ახალ თაობაში, როგორც თვით საქართველოში, ისე მის პოლიტიკურ ემიგრაციაში.

მეორე მსოფლიო ომში ქართული შეიარაღებული ძალის მონაწილეობა ანტიკომუნისტურ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობისაა და 1924 წლის აჯანყების შემდეგ ყველაზე დიდი ეროვნული მოვლენა.

ძუნწად მოსული ცნობები, რომელსაც ხან გამოშვებით სამშობლოდან ვღებულობთ, ამოწმებენ, რომ მიუხედავათ დიდი ცდისა, ბოლშევიკებმა ვერ გასტეხეს ქართველი ერის სურვილი და ნებისყოფა და დამოუკიდებლობის

## ფიქრები განცდილზე.

(ბ-ნ ვ. ჩუბინიძეს „მოგონებით აღძრული).

ამ წერილის მიზანი სრულებითაც არ არის ბ-ნ ვ. ჩუბინიძეს „მოგონების“ გარჩევა, მისი ანალიზი. ჩვენ იმდენათ გვინდა შევაჩეროდ მკითხველის ყურადღება ამ წიგნზე, რამდენათაც იქ მოთავსებული ზოგიერთი მასალა ბ-ნ ჩუბინიძეს მოგონების ჰორიზონტს სცილდება და განზოგადოებულ მოვლენად არის ქცეული ზოგიერთი ფაქტები ჩემს მეხსიერებაში სულ სხვაგვარად არის ჩარჩენილი. ცხადია, სამნახევარი ათეული წლის შემდეგ შეიძლება ბ-ნ ჩუბინიძესაც ღალატობდეს მეხსიერება და ამ სტრიქონების ავტორსაც და ურიგო არ იქნება, რომ მეგობრულად აზრთა გაცვლა გამოცვლიდსურათის ნამდვილი და უტყუარი სახე აღვადგინოდ.

თვით ვ.ჩუბინიძეს კი დამსახურებათ ისიც ეყოფა, რომ 1924 წლის აჯანყების, მის მოსამზადებელი პერიოდის და მას შემდეგ არალეგალური ბრძოლის განახლების საკითხი საჯაროდ დააყენა. მართალია მას შემდეგ დაიბეჭდა განსვენევულ ს. ზალდასტანიშვილის „1924 წლის ამბოხება“, რომლის ავტორიც ცენტრში იჯდა და რომლის მოქმედების ჰორიზონტი იმდენად ფართო იყო, რომ მასთან შედარებით ბ-ნი ჩუბინიძეს „მოგონება“ იმ ადამიანს მოგვაგონებს, რომელიც თავის ოთახში ჩაკეტილა და ამტკიცებს, რომ სივრცე მისი ოთახის კედლებით სრულდება, მაგრამ მისი ღირებულება მაინც მაღალი რჩება. მით უმეტეს, რომ ჩუბინიძე ერთად ერთია, რომელიც აჯანყების შემდეგ განახლებულ ფარულ მუშაობას შეეხო.

ჩვენც სწორედ ამ პერიოდს გვინდა შევეხოდ და კერძოდ იმ ფაქტებს, რომლებიც ბ-ნ ჩუბინიძეს სულ სხვა ვერსიიდ მოჰყავს, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია.

მკითხველს და თვით ბ-ნ ჩუბინიძესაც შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს,რომ ზოგიერთი ფაქტების ცოდნის პრეტენზიას აცხადებს ის ადამიანი, რომელიც სოც. დემ. არასოდეს არა ყოფილა, ხოლო „მოგონება“ კი სუფთა პარტიული ხასიათისაა. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ფაქტების განმარტებებიდან ნათელი გახდება ამ პრეტენზიების წყაროც.

ვიდრე „მოგონების“ სხვა ფაქტებს შევეხებოდეთ საჭიროდ მივაჩნია აღვნიშნოდ, რომ ბ-ნი გ. წერეთელი, რომელიც ჩუბინიძეზე ადრე ჩამოვიდა ემიგრაციაში და რომლის „გულმავიწყობის“ გამო აჯანყებამ დაკარგა სავარაუდო ეფექტი—გამუდმებითა სდუმს და არასოდეს საჭიროდ არ დაინახა ამ საბედისწერო მომენტზე განმარტება მიეცა საზოგადოებისათვის. ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლამ გაანახევრა აჯანყების მოგების წინასწარი პირობა. თვით ბატონ ჩუბინიძეს საჭირო სიფრთხილე გამოუჩენია და უკითხავს: „ხომ ნამდვილად არის 28 აგვისტო, დღით ხუთშაბათი დანიშნულიო“, რაზედაც დამკომის რწმუნებულს გ. წერეთელს უპასუხია: „მაგაზე ნუღარ კარგავ დროსო“. (იხ. „მოგონება“ გვ. 260) როგორც ჩუბინიძე აღნიშნავს წერაკითხვის ძლივს მცოდნე, მაგრამ ბრძოლებში გამოცდილ „მოგონების“ ავტორს გამოუჩენია საჭირო სიფრთხილე და უკანასკნელ წუთს კვლავ შეკითხებია, მაგრამ გ. წერეთელს საჭიროდ არ დაუნახავს გადაეხედა მეხსიერებისათვის (თუ წერილობით არა ჰქონდა) და უდარდელად უპასუხია „ამაზე დროს ნუღარ ჰკარგავო“. ამის შემდეგ ასევე უდარდელად ცხოვრობს ის ემიგრაციაში და არც ერთხელ საჭიროდ არ დაინახა, რომ თავის „გულმავიწყობის“ მსხვერპლ მამულიშვილთა ხსოვნის წინაშე მწუხარება გამოეთქვა. ჩვენ ვხმარობთ „გულმავიწყობის მსხვერპლს“, ვინაიდან 24 საათი სრულიად საკმარისი შეიქმნა საოკუპაციო რეჟიმისათვის რომ ჭიათურიდან მოშორებულ პროვინციებში საეჭვო პირები დაეტუსაღებინა და გაეჟლიტა. ამ საეჭვო პირთა შორის აღმოჩნდნენ აჯანყების ადგილობრივი (პროვინციალური) მეთაურები და აქტიური მებრძოლები.

ჯერ კიდევ ამ სტრიქონების ავტორს 1924 წ. ნოემბერ-დეკემბერში შემთხვევა ჰქონდა ჩეკაში შეხვედროდა დამკომის წევრს ი. ჯავახიშვილს. შხვედრისთანავე მომახალა: „რა მოხდა, რატომ არ გამოვიდა სიღნაღის მაზრაო?“ ამ სიმკაცრის ერთგვარი უფლება მას კიდეც ჰქონდა.

1924წლის თებერვლამდე სიღნაღის მაზრია რწმუნებულობა დაკისრებული ჰქონდა ჩემ ძმას, ხოლო რადგან თებერვალში ის დაატუსაღეს ეს მოვალეობა დაეკისრა ა. მოსაშვილს, რომელიც მუდმივ სიღნაღში ცხოვრობდა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ჩამოდიოდა ტფილისში.აჯანყბის წინ, სიფრთხილის გამო, საჭიროდ დაინახა, რომ დამკომის საბოლოო გადაწყვეტილება მას სხვისა ხელით მიეღო. ამიტომ ი. ჯავახიშვილმა ეს საბოლოო გადაწყვეტილება და აჯანყებისათვის განმზადილი „დარიგებები“ მე გამატანა. ტფილისიდან მიმავალ მატარებელს მელაანის სადგურზე დამხვდა ა. მოსაშვილი. მე მას გადავეცი „ამანათი“. ის მელაანიდან ეტლით წავიდა სიღნაღში, მე კი მატარებელს გავყე წნორის წყლამდე და მხოლოდ სამი დღის შემდეგ გამოვჩნდი ქალაქში, სადაც სიტყვიერი განმარტებებისათვის დამიბარა ადგილობრივი დამკომის ორმა წევრმა: ნ. ყაზბეგმა და მ. ახმეტელაშვილმა.

ი. ჯავახიშვილის შეკითხვას მედაბნეულათ უპასუხე:არ ვიცი, დილიდანვე დაიწყეს ხალხის დატუსაღება. აჯანყების დაწყების მომენტისათვის თითქმის ყველანი ჩეკაში აღმოვჩნდით და ორგანიზაციები განადგურებული. ადგილი ჰქონდა მხოლოდ გაბრძოლების ცალკე შემთხვევებს, ისიც დატუსაღების დროს. დანარჩენები ყველა ხელებ გაკრულები დახვრიტეს.

როგორც გამოირკვა ასეთივე ბედი ეწვია თელავის ორგანიზაციებს.

ქართლში სადაც დიდი ხნიდან მოქმედებდა მ. ლაშქარაშვილი და სადაც აჯანყებისათვის დამკომმა გადაიყვანა ქაქუცა, საფიქრებელი იყო, რომ ყველაზე ძლიერი ბრძოლები სწორედ იქ გათამაშდებოდა. არც ეს იმედი გამართლდა იმავე მიზეზით, რომ აჯანყების მომენტისათვის საოკუპაციო ხელისუფლებამ არალეგალური ორგანიზაციები მოსპო და გაანადგურა ამგვარად, ამ ორი ძალის, ქაქუცა ლაშქარაშვილის გაერთიანებამ, რომელზედაც დამყარებული იყო არა მარტო შიდა ქართლის აღება, არამედ ტფილისის შემორტყმის იმედებიც, ვერავითარი ეფექტიური შედეგი ვერ მოგვცა, ვინაიდან ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლამ რუსული საოკუპაციო ხელისუფლება გააფრთხილა და სავსებით საკმარისი შეიქმნა, რომ ფარული ორგანიზაციები გაენადგურებინა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქაქუცას რაზმელ ლ. ჩიქოვანის მიერ პრიუტის აღებას, ელ. ვაჩნაძეს მიერ მანგლისის კაზარმებზე იერიშის მიტანას და თვით ქაქუცას დუშეთზე გადავლას, გამოდის, რომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო მტერმა ისე მოსპო და გაანადგურა, რომ გაბრძოლება ვერავინ მოასწრო. და ყველაფერი თურმე იმიტომ, რომ ბ-ნ გ. წერეთელს შეეშალა და 29-ს მაგიერ აჯანყება ჭიათურაში 28-ს დაიწყო!

ნუ თუ ეს ისეთი უმნიშვნელო ფაქტია, რომ

## მილიარდერების გაშლილ სუფრაზე

გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატების კინომრეწველობამ კვლავ განაახლა ნინოჩკას“ ჟანრის ფილმების გამოშვება. უკანასკნელ ფილმში „აბრეშუმის წინდები“, გამოყვანილია ამერიკის რეჟისორი და საბჭოეთის ლამაზი ქალი-კომისარი. ფილმის ერთ მოქმედებაში სწარმოებს მეტად საინტერესო და თანამედროვე კომუნისტის განწყობილების დამახასიათებელი დიალოგი:

—ქალი კომისარი: თქვენ ეკუთვნით მჩაგვრელ თუ დაჩაგრულ კლასს?

—რეჟისორი: რა თქმა უნდა, მე ვეკუთვნი გაბატონებულ მჩაგვრელ კლასს.

—ქალი კომისარი: განა ეს სამარცხვინო არ არის?

—რეჟისორი: თქვენ კარგად მოგეხსენებად, რომ როცა ერთი მჩაგვრელი ესაუბრება მეორე მჩაგვრელს, ეს საუკეთესო შემთხვევა არის რომ ისენი ერთმანეთს მიუხვდნენ და გაუგონ.

მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტ ქალს თავი მოაქვს მჩაგვრელთა დამცველად, (არა საბჭოთა კავშირში, სადაც უფრო მეტია დაჩაგრული და გაყვლეფილი, ვიდრე მის მიერ ათვალისწუნებულ კაპიტალისტურ სამყაროში) ადვილად ახერხებს მჩაგვრელი კლასის წარმომადგენელთან სენტიმენტალური გრძნობების გამომჟღავნებას და საქმის გაჩარხვას. ამერიკელი რეჟისორი მას სთვლის, ასევე მჩაგვრელი კლასის (საბჭოთა რეჟიმის ახალი პრივილეგიური კლასის) წარმომადგენლად და ამიტომ სათაკილოდ არ მიაჩნია მასთან ურთიერთობა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვი ეუბნებოდა კრემლში სტუმრად მოსულ ერთ უცხოელ კაპიტალისტს: ხომ ხედავთ, ჩვენ ორივეს გვაცვია აბრეშუმის პერანგი, ჩვენ ორივეს გვაქვს ლუქსი მანქანა (ავტომობილი) ამიერიდან არარაფერმა აღარ უნდა დაგვაპრკოლოს, რომ ერთმანეთს შეუთანხმდეთ.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ რეალობა და თეატრალური ფიქცია ერთმანეთს ემთხვევა. ეს ფაქტი ნათელ შუქს ჰფენს და ამხელს საბჭოთა ცხოვრების სინამდვილეს, რომ მათ დასავლეთის ქვეყნები ეგულებათ [illegible] სატყუებელ და გასაბრიყვებელ ასპარეზად თავიანთი ბოროტი მიზნების მისაღწევად.

მაინც საინტერესოა ვინ ვის ატყუებს: კრემლი კაპიტალისტებს, თუ კაპიტალისტები კომუნისტებს? შეიძლება არც ერთი არ ტყუვდებოდეს და ორთავენი წინასწარი განზრახვით ერთმანეთისაგან გამორჩენას და ნივთიერ სარგებლობას გამოელოდეს!

ხშირად ზოგიერთები სასაცილოდ იგდებენ საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს ამერიკაში, რომ ერთმანეთს დაუახლვონ ორი სისტემის—კაპიტალიზმის და კომუნიზმის ეკონომიური და ფინანსიური სასიცოცხლო ინტერესები. ბევრისათვის ბოლომდის გაუგებარი დარჩა მიქოიანმა და კოზლოვმა რა გააკეთეს, რა შედეგებს მიაღწიეს, ან რა ფარსი გაითამაშეს საზოგადოებრივი აზრის გზა-კვალის ასაბნევად. ერთი კი ცხადია, ორივენი დიდ უპირატესობას აძლევდნენ მილიარდერების უხვ სტუმართმოყვარეობას და მათ კოკტეილებს. ამავე დროს, ჩვენს განცვიფრებას იწვევს ისეთი ტიპის კაპიტალისტის საქციელი როგორიცაა კირიუს ეტონი, რომელიც ეგოისტური ინტერესებით აჩქარებული თავგამოდებით ექომაგება კაპიტალიზმის მესაფლავე რუსულ ბოლშევიზმს. ხოლო მათი ორივეს საქციელი ჩვენთვის გასაგები და ადვილად ასახსნელია. უწინარეს ყოვლისა, კრემლის მბრძანებლები პოლიტიკაში რეალისტი ხალხია (რეალიზმი, ალბად არც კაპიტალისტებს აკლიათ). მიქოიან-კოზლოვებმა კარგად იციან, რომ შ. შტატებში ორი დიდი საზოგადოებრივი ძალაა: ერთის მხრივ მუშათა კლასის გაერთიანებული პროფკავშირები, მეორე მხრივ—კაპიტალისტების სამრეწველო საფინანსო ორგანიზაციები. ვინაიდან შრომის სინდიკატებმა თავიდანვე უარი სთქვეს, იდეური და მორალური მოსაზრებებით, რაიმე კავშირი იქონიონ არა დემოკრატიულ რეჟიმთან რადგან ისინი რუსულ ბოლშევიზმის წინაალმდეგ დემოკრატიული მეთოდით განაგრძობენ ბრძოლას და შეურიგებლობას იჩენენ, კრემლისათვის დარჩა მხოლოდ კაპიტალისტების ერთი ჯგუფის დახმარება და შემწეობა. ბოლშევიკებიც მათ მიმართავენ და მათ გაშლილ სუფრაზე კაპიტალიზმის და კომუნიზმის თანაარსებობის სადღეგრძელოს მიირთმევენ.

ორივე მხარეს აქვს ერთი და იგივე განზრახვა: დროებით ისარგებლონ ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით ბოლშევიკების სურვილია რაც შეიძლება მალე გამდიდრდნენ და გაუთანასწორდნენ ბურჟუაზიული ქვეყნების კეთილდღეობის დონეს. კაპიტალისტური სულისკვეთებით გარემოცულია არა მარტო ახლად აღორძინებული პრივილეგიური კლასი, არამედ კაპიტალიზმის ცხოველ გავლენით დაძლეული მმართველი კასტა და გამოხატავს მათ თანამედროვე სულიერ განწყობილებას და მატერიალურ ინტერესებს. ისენი ამ განწყობილბას კომუნისტური ფრაზეოლოგიით ფარავენ და მას კაპიტალიზმის გადმონაშთებს უწოდებენ. ეს სულიერი განწყობილება სავსებით შეეფერება საბჭოთა რეჟიმის ევოლუციის ლოღიკას.

მიქოიანი, კოზლოვი და სხ. სინამდვილეში არიან კაპიტალისტები, მიუხედავათ იმისა, რომ ისენი თავის თავს უწოდებენ კომუნისტებს, ანსახიერებენ სახელმწიფო კაპიტალიზმს. მათ განკარგულებაშია საბჭოთა კავშირის მთელი სიმდიდრე, ისენი არიან იმ სიმდიდრის სრული ბატონ პატრონი, მისი მონოპოლისტები. სიმდიდრე ძმურად ნაწილდება ახლად წარმოშობილ კლასის წარმომადგენელთა შორის. მილიონობით ხალხი უუფლებო პარიათ არის გადაქცეული და ახლანდელ დუხჭირ ცხოვრების შეცვლას პირდებიან სრული კომუნიზმის დროს. ჯერ ხნობით ამ დაპირებულ სამოთხის კარები არსად სჩანს. ის ხუთ და შვიდ წლების პირამიდების ბურუსშია გახვეული.

განსხვავება მათსა და 19 საუკ. კაპიტალისტებ შორის მხოლოდ იდეოლოგიურ არეშია საძებარი, ისე მსგავსება მათ შორის სულიერ მისწრაფებაში და პრაქტიკულ საქმიამობაში ადვილი შესამჩნევია. როგორც მაშინ, ისე ეხლა სახელმწიფო კაპიტალიზმის საფუძველზე აღმოცენებული გამდიდრებული კლასი დიდი მოგების ციებ ცხელებით არის შეპყრობილი. აქედან კაპიტალისტურ ქვეყნებთან დაახლოვება, მათთან თანამშრომლობა, მათი გამოცდილების და მეთოდების გამოყენება.

მათ შორის მსგავსების პარალელები ამით არ თავდება: საბჭოთა კავშირი განიცდის განვითარების იმ პერიოდს, სხვა ფორმით, რომელიც განვლო დასავლეთ ევროპამ ამ ერთი საუკუნის წინ. მაგ. ხელოვნება, ლიტერატურა და სხ. სავსებით შეეფარდება დასავლეთის 1850-1880 წლების უტილიტარულ ხელოვნებას და მწერლობას. ზოგი ერთი მწერლების გამოკლებით ადრე თუ გვიან, დიდი უმრავლესობა უარყოფს და გაემიჯნება ოფიციალურ კონფორმიზმს. ძველ დახავსებულ ბოლშევიკურ მონურ ფსიქოლოგიას და თანამედროვე განწყობილების შორის კვნფლისტი აუცილებელია.

პრივილეგიურ, გამდიდრებულ კლასის „მშრომელთა სამშობლოში“ ფუფუნების მოთხოვნილება არა ნაკლებია, ვიდრე ეს იყო გასული საუკუნის ბურჟუაზიული კლასისა. კიდევ მეტი: ცხოვრების დონის სტანდარტი დღევანდელი ადამიანისა და მაშასადამე, საბჭოელების ელიტისა უფრო დიდია. ვერც ერთი რეჟიმი—კაპიტალისტურ თუ კომუნისტური, სიმდიდრის მოხვეჭის მისწრაფებას ვერ გაექცევა, რადგან ყოვლ ადამიანში ერთნაირად ბუდობს კაპიტალიზმის მიმზიდველი ძალა. სიმდიდრე რჩეულთა, მმართველი კლასის წილხვდომილი იყო და დარჩა. მისი თანაბრად განაწილება, როგორც ეს სოციალიზმის თეორეტიკოსებს ჰქონდათ წარმოდგენილი, მისი მასიურად სარგებლობის პრაქტიკული შესაძლებლობა საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა.

უკანასკნელი ხანის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ რევოლუციამდელ რუსეთში, ცარისტულ ეპოქაში, პრივილეგიური კლასი შეადგენდა მცხოვრებთა მხოლოდ 5 პროც. ახლანდელ რეჟიმის დროს ეს ოდენობა ძალზე შემცირდა და შეადგენს 0.8 პროც. დღეს უფრო მეტი სიმდიდრეა, ვიდრე ეს ორმოცი წლის წინათ იყო. ლოღიკურია ხვედრითი წილი მთელ სიმდიდრისა უფრო მეტი უნდა იყვეს, ვინაიდან ბოლშევიკური სტატისტიკის მიხედვით პრივილეგიურ სოციალური ფენები საბჭოთა კავშირში აღარ არსებობს. სინამდვილეში მშრომელთა მასებს ამ სიმდიდრით არ უსარგებლია, ის ისევე გაღატაკებული და გაყვლეფილია, როგორც ეს წინად იყო. მისი კეთილდღეობის დონე კაპიტალისტურ ქვეყნებისას ვერ შეედრება. მაშ ვის ხელში დაგროვდა ეს სიმდიდრე? ვინ დაეპატრონა თუ არა რეჟიმის ახალი პრივილეგიური კლასი, სახელმწიფოს მმართველი პარტია და მისი ელიტები, მისი ბიუროკრატია

აი, თუ საღად ვიმსჯელებთ, მიქოიანების კოზლოვების და სხვათა ცდა რატომ არის მიმართული იქითკენ, რომ შეუთანხმდნენ, ორივე რეჟიმის თანაარსებობის საფუძვლზე, და მჭიდროთ დაუკავშირდნენ დასაავლეთის კაპიტალისტებს, რომ ხანგრძლივად უზრუნველყონ მყუდრო, კეთილი ცხოვრება და შეინარჩუნონ მოპოვებული პრივილეგიები. ასვე კაპიტალიზმის მხრივ იგივე ფაქტორი მოქმედობს. ე. ი. საბჭოთა პრივილეგიური კლასის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ეს სარფიანი საქმე იქნება ორივე მხარისათვის და ამიტომ ორივე მხარე ლაპარაკობს შეხმატკბილებული, ერთი და იგივე ენით, **ერთი და იგივე სა**ერთო გაღვივებული მადით.

ეს მოვლენა ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ შეცდომებს, რომელსაც უშვებენ დასავლეთში რომ საბჭოთა კავშირის იმპერიალიზმის საფრთხის აცილება შესაძლებელია ეკონომიური ურთიერთობით. ეს ეკონომიური არგუმენტი თავიდან ბოლომდე მცდარია. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს რეჟიმს და გაუღვიძებს სურვილებს ახალ დაპყრობისათვის.

ერთად ერთი განსაკუთრებულთ განსხვავება, რომელიც შეიძლება არსებობდეს თავისუ-

---

იდეა კვლავინდებურად ცოცხლობს მათ გულში.

განვლილმა ომმა არ გაამართლა ჩვენი იმედები და საბჭოეთის დანგრევის და მისგან გამომდინარე ერთა განთავისუფლების საკითხი გადაიდო, მაგრამ შეგვიძლიან ღრმა რწმენით და იმედით უყუროთ მომავალს.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით გამსჭვალული ხალხი, რომელიც არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებს, რომ თავისი ნებისყოფა გამოავლინოს და მისთვის გაიბრძოლოს, ხალხი, რომელიც სავსეა სიცოცხლით და შემოქმედების უნარით, შესძლებს გადალახოს ყოველი დაპრკოლება და მიაღწევს მისთვის სანუკვარ თავისუფლებას და ეროვნულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

**დ. შალიკაშვილი.**

---

გ. წერეთელს 35 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ დაენახა საჭიროდ საზოგადოებისათვის რაიმე განმარტება მიეცა?

როგორც უკვე აღვნიშნე ამ წერილის მიზანი არ არის ჩუბინიძეს „მოგონების“ დეტალებზე შეჩერება და მისი გარჩევა, არამედ დამხოლოდ გვინდა შევეხოდ იმ ფაქტებს, რომელთა მოწმე, ან მონაწილე, ბედით თუ უბედობით მეც ვიყავი და ჩემს მეხსიერებაში სულ სხვა ვერსიით არის ჩარჩენილი, ვიდრე ჩუბინიძე გადმოგვცემს.

მაგ. ჩუბინიძე ბრძანებს: „გრიშა მდინარაძემ და მე გავაბით კავშირი მეტეხთან მ. ციციშვილის საშუალებითო“ (იხ. გვ. 314)ვინც იმ დროს (მხედველობაში გვაქვს აჯანყების შემდეგი პერიოდი) ანტიბოლშევიკურ, ფარულ წრეებთან დაკავშირებული იყო და მაგ ცხოვრებით ცხოვრობდა იმან იცის, რომ მეტეხთან კავშირი ნიშნავდა დამკომის წევრებთან კავშირს, რომლებიც მეტეხიდან თავთავის პარტიების მოქმედებას თვალყურს ადევნებდნენ და შეძლების და გვარად ხელმძღვანელობდნენ. დასაწყისში ეს კავშირი იყო ცოლების საშუალებით, რომლებსაც უფლება ჰქონდათ ქმრები კვირაში ერთხელ ენახად. ამ პერიოდს არალეგალურ წრეებში ეძახდნენ „უსაქმურ კავშირს“, ვინაიდან მხოლოდ მათი ჯანმრთელობის ამბავს ვტყობილობდით. ძალიან მალე ეს გადაიქცა საქმიან კავშირად. ხოლო შეუძლებლად მეჩვენება ადამიანმა, იმ პერიოდში მეტეხთან კავშირზე ილაპარაკოს და ეს მხოლოდ ციციშვილის დამოწმებით ახსნას.

სწორედ იმ პერიოდში დამკომის წევრები თვით შეეცადნენ და გამონახეს საშუალება, რომ „საქმიანი კავშირი“ დაემყარებინათ გარეთ. ეს ერთი თავგანწირული მანდილოსნის საშუალებით მოახერხეს. ადვილად ასახსნელი მიზეზებით ეს მანდილოსანი ჩრდილში რჩებოდა და მას მიჩენილი ჰყავდა, გარეთ სამოქმედოთ, საჭირო ხალხის სანახავათ და მოსაძებნად ნ. კახიანის ცოლი, იმ დროს არალეგალურ წრეებში „მარია ანდრევნათ“ წოდებული და ამ სახელით ცნობილი. ამ ორი ქალის გარშემო ტრიალებდა მეტეხთან ურთიერთობის ყოველი საშუალება და მეტად საეჭვოდ მეჩვენება, რომ კ. ანდრონიკაშვილს ემტყუნა თავის მიერ აღმოჩენილი გზისათვის და სხვა საშუალებით და ემყარებინა კავშირი! აქ საფიქრებელია მხოლოდ ერთი გარემოება, სახელდობრ: შეიძლება ჩუბინიძეს ციციშვილი სწორედ ამ გზას ადგა, თუმცა ესეც საეჭვოა, რადგან კ. ანდრონიკაშვილს იმ დროს ტფილისში თავისი ნდობის კაცი ჰყავდა და ძალიან უცნაურია, რომ ჩუბინიძე თავის მოგონებებში მას არ ასახელებს და მასთან ურთიერთობაში არა ყოფილა.

რომ ზემო თქმული ნათელი შეიქმნას, საჭიროდ მიგვაჩნია ერთი ფაქტის გახსენება: 1925 წ. პარიზში შექმნილა „კოალიციური მთავრობა“ და „საერთო ფრონტი“, რასაც ერ. დემ. პარტიულ ემიგრაციაში განხეთქილება შეუტანია. ნეტარხსენებული გ. გვაზავა, რომელიც ამ კოალიციის სულის ჩამდგმელი იყო, შეეცადა დაკავშირებოდა თავის პარტიას და მას პარიზული განწყობილება აუხსნა. ეს წერილი სოც. დემ. გზით შემოვიდა საქართველოში და „მეტეხმა“ მიიღო ზომები „ადრესატების“ საპოვნელად. ამ ნიადაგზე მომიხდა ზემო დასახელებული ქალების გაცნობა და მათთან დაკავშირბა. ჩუბინიძეს მოგონების კითხვის დროს ეჭვი დამებადა იქნება აქაც საქმე გვაქვს „მესამე ყრილობის“ მიერ არჩეულ ცეკების პროვოკაციასთან“, თორე როგორ შეიძლებოდა ერთხელ მაინც არ ეხსენებინა ჩუბინიძეს მა. „ფარმაცევტის“ სახლით ცნობილი ფარული მოღვაწე, რომელიც იმ დროს ანდრონიკაშვილის ნდობის კაცი იყო და რომელიც ხშირად გვაფრთხილებდა „ტფილისში მრავლად დაწანწალებენ თითქოს სოც. დემოკრატები. ჩეკისტები ქმნიან და შლიან ცეკებს, ფრთხილად პროვოკაციაზე არ წამოეგოთო“.

განსვენებულ გ. გვაზავას წერილის ამბავი შეიძლება ბ-ნ რ. გაბაშვილმა გაიხსენოს, რადგან ერ. დემ. ბიურო მის სახლში იყო შეკრებილი, როდესაც მე—ახლად ჩამოსული, მათ კრებას დავესწარი და ინფორმაცია მივაწოდე. ბ-ნ გვაზავამ კი მხოლოდ ჩემგან გაიგო, რომ პარტიამ მის წერილს პასუხი გასცა და იმავე გზით დაუბრუნა, რა გზითაც გამოგზავნა... უფრო გვიან, მგონი1927 წელს პარიზში ჩამოვიდა ბ-ნიგ.კახაბერი, რომელიც იმ დროს ერ. დემ. ახალგაზრდობაში ენერგიულ და გაუტეხელ მებრძოლად ითვლებოდა და მან ჩამოიტანა ამბავი, რომ სოც. დმოკრატებში აღმოჩნდნენ გამცემები და მეტეხთან დაკავშირებული ქალიც დაღუპესო.

„მოგონების“ კითხვის დროს ერთი უცნაური აზრი ამეკვიატა და აღარ მასვენებს. 1925 წლის შემოდგომაზე ხმა გავრცელდა, რომ ბათუმში დაატუსაღეს ოთხი ახალგაზრდა, რომლებსაც ხოფიდან არალეგალური ლიტერატურა გადმოუტანიათო. დატუსაღებული ახ. მარქსისტები მალე ბათუმის ჩეკამ ტფილისს გადმოგზავნა. ამ მნიშვნელოვან ამბავს ჩუბინიძე არ იხსენიებს. შესაძლებელია მას მხედვლობაში სწორედ ეს ჰქონდა როცა სწერს: „ჩეკისტები ეძებდნენ თურმე კონტრაბანდას და შემთხვევით წააწყდნენ ჟურნალებს „ბრძოლას“ და „დამოუკიდებელ საქართველოს“ (იხ. გვ.304) მაგრამ ეს ისე არის გადაბმული წინა აბზაცთან რომ მკითხველს შთაბეჭდილება რჩება თითქოს 1926 წლის აგვისტოს შემდეგ უნდა მომხდარიყო, ან მის ახლო ხანებში. როგორ შეიძლება გამორჩენოდა ეს მნიშვნელოვანი ამბავი ან უცნობი იყოს ჩუბინიძესათვის, რომლის გარშემოც თურმე ტრიალებდა სოც. დემ. პარტიის მთელი არალეგალური მოძრაობა.

1925 წლის ზაფხულში დაატუსაღეს აწ გასვენებულ ვ. ყარანკოზიშვილი, რომელიც აჯანყების შემდეგ შ. ამირეჯიბთან და ს. ზალდასტანიშვილთან ერთად უცხოეთში უნდა წასულიყო. უკანასკნელ წუთს, ბათუმში ამ სამეულს გადაეწყვიტა, რომ ყარანკოზიშვილი დარჩება საქართველოში და უმეთაურებს ერ. დემ. პარტიის არალეგალურ ორგანიზაციებს. ამავე წლის აგვისტოს დამლევს დაატუსაღეს ერ. დემ. პარტიის ცეკა და სულ ათ დღში გადაასახლეს. სექტემბრის პირველ რიცხვებში დაგვატუსაღეს ი. სარჯველაძე, რომელიც ძალიან ახლო იდგა ცეკასთან და ამსტრიქონების ავტორი. ჩეკაში დავყავი 1926 წლის მარტამდე, სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ბათუმში არალეგალური ფოსტის „ჩავარდნა“. ბათუმიდან ტფილისში გადმოყვანილ ტუსაღთა შორის ერთი ჩემი უახლოესი ნაცნობი აღმოჩნდა და სწორედ ჩემს საკანში მოხვდა (გასაგები მოსაზრებებით გვარს არ ვასახელებ). აი რა მიამბო ამ მარქსისტულ საქმეზე დატუსაღებულმა არა მარქსისტმა: „ვასომ (გურიის კომიტეტის რავმჯდომარის სათუო სახელი იყო) ჩემ ორ ახლო მეგობარს დაავალა საზღვრიდან „ფოსტის“ გადმოტანა. მისცა ბათუმში ცეკისაგან გადმოცემული საიმედო ბინა. აღმოჩნდა აფთიაქი. სათუო სიტყვის გაცვლის შემდეგ დამხვდურმა მიგვიწვია შიდა ოთახში, სადაც სამი უცნობი დაგვხვდა. შესვლისთანავე უკანიდან დამხდურმა, ხოლო წინიდან ოთახში მყოფებმა დაგვილერეს იარაღი, აგვაწევინეს ხელები და გაჩხრეკის შემდეგ ჩეკაში ამოგვაყოფინეს თავი“ო. როგორც უკვე აღვნიშნე შეუძლებელია ეს ამბავი მომხდარიყო 1925 წლის სექტემბერზე ადრე და უფრო გვიან ვიდრე წლის დასასრული.

## ახლო წარსულიდან.

### (საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში.)

ერთა ლიგის პირველი საერთო კრება შესდგა ნოემბრის 15-ს, 1920 წელს. სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, დღის წესრიგში იდგა ახალ წევრთა მიღების საკითხიც. ლიგის სტატუტის მიხედვით, ამ დრომდე მის წევრებად ითვლებოდნენ მოკავშირეები, რომლებმაც ომი მოიგეს და ვერსალის ზავს ხელი მოაწერეს. ეს იყო 32 სახელმწიფო და ლიგის წევრებად მოწვეული ომის დროს ნეიტრალურად დარჩენილი 13-ტი სახელმწიფო. ყველა დანარჩენი ქვეყნის ლიგაში მიღების საკითხი უნდა განეხილა ლიგის წევრთა საერთო კრებას. ახალ კანდიდატს უნდა მიეღო ხმების ორი მესამედი. ლიგაში შესვლის მსურველთა შუამდგომლობის შესასწავლად გამოყოფილი იყო საგანგებო კომისია (5-თე) 36 კაცისაგან, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჩილის დელეგატი დონ ანტონიო ჰუნესი. საქართველოს საკითხი (აგრეთვე სასომხეთის, აზერბეიჯანის, უკრაინის და კოსტა-რიკის) გადაეცა მესამე ქვე კომისიას აქ თავმჯდომარედ იყო ცნობილი ნანსენი—დიდი მეგობარი სომხების და მონდომებული დამცველი საქართველოსი. კომისიის წევრები იყვნენ: პროფ. თომა იონესკუ (რუმინია), ე. დ. მილლენი (ავსტრალია), ე. პალასიოს (ისპანია), ნ. პოლიტის (საბერძნეთი), სპალაიკოვიჩ (იუგოსლავია) და ცან-ცაი ფუ (ჩინეთი).

ქვეკომისიის მოვალეობა იყო შეესწავლა თითეული კანდიდატურის საკითხი შემდეგი თვალსაზრისიდ: 1. იყო თუ არა ლიგაში მიღების თხოვნა ფორმალურად სწორედ შედგენილი? 2. არის თუ არა დე ფაკტო, ან დე იურედ ცნობილი მთავრობა, რომელმაც ლიგაში მიღების შუამდგომლობა ითხოვა? 3. აქვს თუ არა ქვეყანას გარკვეული საზღვრები და რამდენად მყარია წყობილება? 4. აქვს თუ არა ქვეყანას თავისუფალი დამოკრატიული მმართველობა? 5. როგორია ამ ქვეყნის დამოკიდებულება, თანახმად აქტებისა და დეკლარაციებისა ა). საერთაშორისო ვალდებულებებთან დაბ). ერთა ლიგის შესაძლებელ დადგენილებებთან განიარალბის შესახებ?.

ქვეკომისიის დასკვნები საქართველოსათვის სასარგებლო იყო. კომისიის პლენუმის სხდომაზე (2 დეკემბერი 1920 წ.) მიუხედავად ნანსენისა და სხვების დიდი მონდომებისა ქვეკომისიის დასკვნებმა ხმების უმრავლესობა ვერ მიიღო. ფიშერის (ბრიტანეთი) წინადადებით გადაწყდა, საქართველოს საკითხი განხილულ იქმნას ყოფილ რუსეთის იმპერიიდან გამოსულ სხვა სახელმწიფოების საკითხთან ერთად. ამიტომ პირველ ქვეკომისიას (თავმჯდომარე-პულე—ბელგია) დაევალა: შეიმუშაოს საგანგებოდ საქართველო და ბალტიის ქვეყნების მდგომარეობისათვის შესაფერი ფორმულა; გადადებულ იქმნას ამ ქვეყნების ლიგაში მიღება, მაგრამ მათი წარმომადგენლების პრაქტიკულ თანამშრომლობაში მონაწილეობა ამ თავითვე სასურველად ჩაითვალოს. 5-თე კომისიამ ლიგის საერთო კრებაზე წარსადგენად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ა). ერთა ლიგის საერთო კრებას კომისია (მეხუთე) ურჩევს აცნობოს საქართველოს მთავრობას, რომ მისი შუამდგომლობა ლიგაში მიღების შესახებ განხილულ იქმნა თანაგრძნობით, მაგრამ პირობები ხელს უშლის კრებამ საბოლოო დადგენილება მიიღოს.

(დასასრული იქნება).

## მილიარდერების გაშლილ სუფრაზე.

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე).

თავისუფალ მსოფლიოს და რუსულ ტოტალიტარულ რეჟიმ შორის, ის არის მორალური ღირებულებანი, დაყრდნობილი თავისუფლებაზე და სამართლიანობაზე. ამით დასავლეთს უდაოთ აქვს დიდი უპირატესობა და მორალურ ფაქტორის გამოყენება უეჭველად მისი გამარჯვების საწინდარია.

**ხ. ჭირაქაძე.**

## ამერიკული პრესის მიმოხილვა.

**აგვისტოს 7-ს, „დი ვოლ სტრიტ ჟურნალის“** აზრით წარსულშიც იმედოვნებდნენ, რომ ქვეყნიერების დამშვიდება შესაძლებლი იყო დიდ სახელმწიფოთა მეთაურების ურთიერთ დაკავშირებით.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ვილჰელმ მეორე საპატიო სტუმარი იყო, როგორც დიდი ბრიტანეთის, ისე რუსეთის მეფისა. ამავე პერიოდში ვროპის სახელმწიფო მოღვაწენი შეცულნი იყვნენ, რათა ერთი ქვეყნის მეფეთა ასულები, მეორეთა ვაჟიშვილებზე გაეთხოვებინათ. ამავე მაგალითს ბაძავდნენ ქვეყნის სხვა მაღალი პირები და სახელმწიფო მოღვაწენი. ამით ფიქრობდნენ უფრო კარგად გაიცნობდნენ ერთი მეორის ქვეყნებს და უფრო მტკიცე და მყარი იქნებოდა მათი კავშირი და მეგობრობა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ კაიზერის ქვეყანას ეომნა თავისი ბიძაშვილი ჯორჯის და ნიკის ქვეყნებთან.

დღეს მეფეები შესცვალა პარლამენტმა, პრეზიდენტმა და დიკტატორმა, რომლებიც განაგებენ თავ-თავის ქვეყნებს და ყოველი მათგანი ფიქრობს, რომ მშვიდობიანობას დაამყარებს დინასტიური ქორწილებებით....

ჯერ კიდევ ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ერთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია სახელმწიფო მეთაურების მოპატიჟებით და უხვი მასპინძლობით! ამ მცდარი გაგებით ერთა შორის მშვიდობიანობა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

**იმავე „დი ვოლ სტრიტ ჟურნალის“ აგვისტოს** 14-ს ნომერში რედაქცია აქვეყნებს მკითხველებისაგან მიღებულ წერილებს, ხრუშჩოვის ამ ქვეყანაში ჩამოსვლის გამო. ჩვენის აზრით ინტერეს მოკლებული არ იქნება ჩვენმა მკითხველმაც იცოდეს თუ როგორ შეხვდა ამერიკელი მოქალაქე ხრუშჩოვის მოპატიჟებას. მოგვყავს რამოდენიმე ნიმუში:

ჩიკაგოდან მარჯორი ლენსი იწერება:
ეს არის პროტესტების გულშემზარავი რეგისტრაცია, რაც ხრუშჩოვის ამ ქვეყანაში ჩამოსვლამ გამოიწვია. ის აქ მოდის კომუნისტური ორპირობის და მატყუარობის აუარებელი მაგალითებით, რაც წარსულში მოგვცა. ამას ზედ ერთვის მისი მხრიდან ჩვენი ქვეყნის განადგურების დიდი სურვილი.

ჩვენი ღრმა რწმენით ხრუშჩოვის ვიზიტს ცუდის მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლიან.

რა მდგომარეობაში ვაყენებთ ამით ჩვენივე მოქალაქეს, რომელმაც თითონ განიცადა, ან ხათესავ-მეგობრებისაგან იცის თუ როგორ იტანჯება მისი სამშობლო? მიუხედავათ ამისა ის იძულებულია ჩვენ ქვეყანაში ნახოს მტარვალი კომუნიზმის ბელადი, რომელსაც გვერდში მეგობრულად და ღიმილით ამოუდგება შ. შტატების პრეზიდენტი.

**სტეფან კაროლი (ნიუ-იორკი) აცხადებს, რომ როგორც ყოფილმა სენატორმა ნოულანდმა სთქვა, ხრუშჩოვის ვიზიტი იგივეა, რაც იქნებოდა ჰიტლერის ამ ორი დეკადის წინ...**

**ხუშჩოვი ქვეყნიერების ერთი მესამედის მონათმფლობელია. მან და მისმა მომხრეებმა დაიმონეს ცენტრალური ევროპის და ჩინეთის მოსახლეობა და მათ აჰყარეს ყოველგვარი უფლება. კომუნიზმმა შექმნა თავის ბრმა მიმდევრების ახალი ელიტა. დანარჩენნი კი მოკლებულნი არიან ყოველივეს, რაც შემომქმედმა ყველას მოგვანიჭა. ე. ი. ხრუშჩოვმა წაართვა ხალხს უფლება, რომელიც აღიარებულია ჩვენი კონსტიტუციის მიერ, როგორც წმინდათა წმინდა.**

ერთად ერთ იმედათ ის ღა დაგვრჩენია, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ხრუშჩოვი ჩვენ მიწაზე ივლის, ვილოცოდ მისგან დამონებულ ხალხის თავისუფლებისათვის. ამერიკა, როგორც ერთი კაცი უარყოფს მის აქ ყოფნას, რომელიც ჩვენი წარმოუდგენელი სისულელის შედეგია და ჩვენი მისადმი მოპყრობა იქნება იმდენად ცივი, რამდენათაც ნიკსონისადმი რუსი და პოლონელი ხალხის შეხვედრა იყო თბილი. ამ სიჩუმით მჭერმეტყველურად განვამჟღავნებთ იმ მოწყალებას და სიმპატიას, რომელიც დამონებული კაცობრიობის მიმართ გვაქვს.

**ალფრედ კოლბერგი აგონებს საზოგადოებას** პრეზიდენტ აიზენჰაუერის მრავალჯერ განმეორებულ განცხადებას, რომ ის იცავს „სამართლიან მშვიდობიანობას“ ჩვენ ვცდილობთ დავამყაროთ ზავი ხრუშჩოვთან. მაგრამ მხიდველობიდან უშვებთ, რომ კრემლის მიზანი სულ სხვაა. ინტერნაციონალური კომუნიზმის კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ პარაგრაფში ვკითხულობთ: „საერთაშორისო პროლეტარიატის დიკტატურა.... და საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი“.

ამიტომ, როგორც პრეზიდენტ ტრუმანმა სთქვა: „კომუნისტებთან შეთანხმება არა ღირს იმ ქაღალდათ, რომელზედაც ის იწერება. ჩვენ ვნახეთ ამის მაგალითი თეირანის, იალტის, პოცდამის და ახლო წარსულში (1955 წ.) ჟენევის კონფერენციებზე“.

**„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აგვისტოს 23-ს.**

წარსულ პარასკევს ერთი თვის მოსკოვში „დასვენების“ შემდეგ, კომუნისტური ჩრდილო ვიეტნამის პრეზიდენტი ჰო-ჩი-მინს საიდუმლო თათბირი ჰქონდა პეიპინგში ჩინელ კომუნისტების ლიდერებთან, რაც დიდი ზეიმით დასრულდა. მსჯელობის საგანი ოფიციალურად ნახსენები არ იყო, მაგრამ დიდი უმრავლესობას სჯერა, რომ ირჩეოდა პატარა ბუდისტურ სამეფო ლოას დაპყრობის საკითხი...

სამი კვირის წინ დაიწყო ბრძოლა აჯანყებულ კომუნისტებ და სახელმწიფო ჯარებ შორის ჩრდილო ვიეტნამის მოსაზღვრე პროვინციებში. ვაშინგტონმა ბრალი დასდო რუსეთს და ის გამოაცხადა, როგორც აჯანყების სულის ჩამდგმელი და აჯანყებულთა მოკავშირე

ზოგიერთი აზიელი მეთვალყურე ფიქრობს, თითქოს ლოას კრიზისი პეიპინგმა მოსკოვის დაუკითხავად და მისი სურვილის წინააღმდეგ შექმნა.

**„ნიუ-იორკ ტაიმსის“ სპეციალური კორესპონდენტი** ბონიდან იტყობინება, რომ დასავლეთგერმანიის შეხედულება საბჭოთა კავშირზე უცხელესი რკინაა, ვიდრე მათთან საქმის გაკეთების ცდა და ვინც შეეცდება მას ხელი შეახოს დიდი სიფრთხილის და ყოველგვარი ღონისძიებების გამოყენების გარეშე უეჭველად ხელ დამწვარი დაბრუნდება სახლში...

გარემოების შესწავლა გვარწმუნებს, რომ სტალინის პოლიტიკა უცვლელი დარჩა, ხოლო მისი მემკვიდრები უფრო მაღალი ხელოვნებით ასრულებენ მას...

ამ ჟამად სჩანს, რომ ხრუშჩოვის პოლიტიკა ინტერნაციონალური დაძაბულობის შემცირებას მოითხოვს. „ცივი ომის“ გაღვივება კი მას ყოველ წუთს შეუძლიან, როცა ეს მისთვის საჭირო იქნება, ბერლინის ხელახალი კრიზისით თუ არაბულ აზიურ რაიონებში...

დასავლეთ გერმანიის რწმენით პრეზიდენტ აიზენჰაუერის უდიდესი მიღწევა იქნება ხრუშჩოვთან შეხვედრის დროს, თუ მან მოახერხა **და დაარწმუნა მოსკოვში მიმდინარე პრეზიდიუმის** სხდომა, რომ ბრძოლა გაგრძელდება და უნდა გაგრძელდეს თუ კრემლმა არ შესცვალა თავის მიზანი. ამისათვის პრეზიდენტმა უნდა აჩვენოს ხრუშჩოვს მთლიანი და ძლიერი ამერიკა, რომელიც ყოველ გარემოებაში გაუმკლავდება რუსეთს....

**„დეილი ნიუსი“ აგვისტოს 27-ს.**

**მინიაპოლში მიმდინარე ამერიკული ლეგიონის** კონგრესზე შ. შტატების ვიცე პრეზიდენტი ნიკსონი შეეხო აიზენჰაუერ ხრუშჩოვის გაცვლით ვიზიტებს. შეეცადა დაერწმუნებინა მსმენელები, რომ ეს დადებითი მოვლენაა, რაც ლეგიონერებს არა სჯერად. ნიკსონმა განაცხადა, რომ პრეზიდენტს არ დავიწყებია დაპყრობილი ერებიო. ჩვენის აზრით ნიკსონი ძალიან კარგს შვრება რომ ამის გარანტიას გვთავაზობს.

დასავლეთელების პროტესტი კრემლის დამპყრობელ პოლიტიკის წინააღმდეგ, სჩანს მოსკოვს ყველაზე მტკივნეულ ალაგას ჩხვლეტავს. ამას ადასტურებს ხრუშჩოვის პროტესტი ნიკსონის რუსეთში მოგზაურობის დროს, როდესაც პრეზიდენტ-კონგრესმა დაპყრობილ ერების სოლიდარობის კვირად გამოაცხადა.

**შეიარაღებული კონფლიკტის შემთხვევაში** დაპყრობილ ერების რუსეთისადმი სიძულვილი უდიდეს სამსახურს გაუწევს დასავლეთს.

**„დეილი ნიუსი“. ოთხი წლის განმავლობაში** ინდოეთის პირველი მინისტრი ნერუ მოსკოვ პეიპინგის სასარგებლო „ნეიტრალობას“ იცავდა აღმოსავლეთ დასავლეთის ბრძოლებში.

ამ ჟამათ ჩინელი კომუნისტები უტევენ ინდოეთის ორ მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოს ამ რიგად ნერუ იძულებულია (რამდენათაც ეს მას ეხერხება და ჩვენ ვფიქრობთ რომ არ ეხერხება) განაცხადოს, რომ ინდოეთი დაიცავს თავის მომიჯნე პატარა სახელმწიფოებს, თუ კომუნისტურმა ჩინეთმა მათი მიტაცება მოინდომა... ნეროსთვის ეს უდიდესი პროგრესია. ვინ იცის იქნება მოვლენებმა მიახვედრონ რომ წითლები მთელ მსოფლიოში კარგი ხალხის მტრები არიან და გარკვევით ჩადგეს ჩვენ რიგებში. ამით ის წითელი მხეცებისაგან იხსნის თავის ქვეყანას და თავის თავშესაფარს.

**„დეილი ნიუსი“ აგვისტო 29. სიამოვნებით** მოვისმინედ, რომ პრეზიდენტ აიზენჰაუერს უმხურვალესი შეხვედრები ჰქონდა დას. გერმანიაში, შოტლანდიაში და ინგლისში. მაგრამ ეტყობა არც ხრუშჩოვი იყო ამ ხნის განმავლობაში ხელებ დაკრეფილი და მისი მოკავშირე წითელი ჩინეთი ზურგს უმაგრებს ჩრდილო ვიეტნამს, რომ დაიპყროს და გააკომუნისტოს ლაოსი. ამავე დროს წითელმა ჩინეთმა განაახლა ჩან კაი შეკის კუთვნილ ქვემოის კუნძულზე ყუმბარების დაშენა. თავისი ჯარები შეუსია ინდოეთის ორ მოსაზღვრე ქვეყანას და ეტყობა განზრახული აქვს იქ კიდეც დარჩეს და გამაგრდეს. ნერუ შეშინებული ქათამივით ყაკანებს, მაგრამ მაინც არ ყოფნის გამბედაობა ხელი აიღოს წითელი ჩინეთის ოპეკუნობაზე და მის გაერთიანებულ ერებში მიღების მოთხოვნაზე. მიუხედავათ ჩინური აგრესიისა, მოქმედება ამჟღავნებს, რომ ის ძალიან ღარიბი და სუსტია იმისათვის, რომ დამოუკიდებლად იმოქმედოს. მოსკოვს, ე. ი. ხრუშჩოვს რომ უნდოდეს მას ერთის ბრძანებით შეუძლიან შეაჩეროს პეიპინგის აგრესია.

---

ეს იმ დროს უდიდესი მოვლენა იყო და არა მარტო ჩეკა და მეტეხი, არამედ მთელი საქართველო აალაპარაკა ამ ამბავმა და დიდ ხანს ამტკიცებდნენ, რომ „სოც. დემ. ცეკა ჩეკის შედგენილიაო“ შეუძლებელია, რომ ჩუბინიძემეს არ იცოდეს და თუ 304 გვ. მოხსენებული ამბავი ამასა გულისხმობს ეს ხომ უაღრესი ტრაღედიის „გარომანება“ იქნება!?

ჩუბინიძე კარლო ჩხეიძეს პანაშვიდის ამბავს ასე ასრულებს: „ნ. ჩხიკვაძემ გაიხსენა კარლოს მუშაობა გურიაში და ტირილით მიამბობ და მისი თავგადასავალის შესახებ“. მოთხრობილს ეს ფრაზა ისე აქვს მიდგმული, რომ მკითხველმა შეიძლება იფიქროს თითქოს ჩხიკვაძეს მისთვის ცალკე უამბნია, მაგრამ შესაძლებელია ისიც იფიქროს, რომ მას კარლოს პანაშვიდზე ულაპარაკია. საზოგადოთ ჩუბინიძეს გადმოცემით უნდა ვიფიქროდ, რომ არა მარტო მან მოაწყო ეს პანაშვიდი, არამედ მას კიდეც დასწრებია. საკვირველი კია რომ ის იხსენიებს იმ მოძღვარის გვარს, რომელმაც არა სწირა (იხ.გვ. 307) და არ იხსენიებს მწირველ მოძღვარს. ვფიქრობ შემცდარი არ ვიქნები ვთქვა, რომ პანაშვიდი გადაიხადა დეკანოზ გარსიაშვილმა, ხოლო სიტყვა წარმოსთქვა შ. შარაშიძემ (თაგუნა). შეუძლებელია ერთხელ მაინც ენახა ადამიანს „თაგუნა“ და ის მეხსიერებიდან წაშლილიყო. გარდა ნიჭისა ის ღვთით დაჯილდოვებული იყო ულამაზესი გარეგნობით, რომელიც ყველგან და ყოველ გარემოებაში გამოირჩეოდა. მაშ რატომ არ ასახელებს ჩუბინიძე, ჩვენ ორში რომელს ღალატობს მეხსიერება?

ცხადია ყველაფერი შეიძლება მოხდეს და არა ერთ ერთ ჩვენთაგანს, არამედ ორივეს გვღალატობდეს მეხსიერება, მაგრამ მე ერთი საპატიო მოვლენა მაიძულებს ვიფიქრო, რომ ეს ამბავი ჩემს მეხსიერებაში უკეთუნდა იყოს ჩარჩენილი ამას ის გარემოება მაფიქრებინებს, რომ ერთსა და იმავე დღეს მოხდა ნიკოლოზის ეკლესიაში კ. ჩხეიძეს და ქაშვეთში გ. ვეშაპელის პანაშვიდი. ჩვენ „დემონსტრატიულად“ ჩხეიძეს პანაშვიდს დავესწარით. ჩვენი გაკვირვება უსაზღვრო იყო, როდესაც აქვე დავინახეთ ნ.დგებუაძე. (სურათის სიცხოველისათვის საჭიროა ამ უნიჭიერეს, განათლებულ და კეთილშობილ ადამიანზეც ორიოდ სიტყვა ითქვას).

ნ. დგებუაძე იმ პერიოდში ერ. დემ. ახალგაზრდობის ლიდერათ ითვლბოდა. გადასახლებული იყო, თუ არა ვცდები 1922 წ. „გადმოსახლეს“, ე. ი. ჩამოიყვანეს ტფილისში აჯანყების შემდეგ და ის მე მხოლოდ ჩეკაში გავიცანი 1924 წლის დამლევს. ის გაანთავისუფლეს 1925 წლის დასაწყისში ერ. დემ. პარტიის ახალგაზრდობის სალიკვიდაციო მუშაობისათვის. თუმცა აღნიშნული „ლიკვიდაცია“ მაღლიდან ეწყობოდა და ი. ჯავახიშვილის თქმით უნდა გადაგვერჩინა, რის გადარჩენაც შეიძლებოდა, რათა აღგვედგინა არალეგალური პრტიული ორგანიზაციები, მაგრამ ჩვენ მაინც ნ. დგებუაძეს გულწრფელად „პლატფორმაზე“ დამდგარათ ვთვლიდით და ამიტომ მის კბენას არ ვერიდებოდით).

კ. ჩხეიძეს პანაშვიდზეც სწორედ „საკბენად“ მისალმებისთანავე უთხარი: მე მეგონა შენ შენი ლიდერის პანაშვიდზე იქნებოდი. მას თურმე არა სცოდნოდა, რომ იმავ დღეს და იმავე საათზე ვეშაპელის პანაშვიდიც იყო და როცა გაიგო დაჟინებით გვიმტკიცებდა, რომ იქ წასვლა არის საჭირო შემდეგ დაგვტოვა და მარტო წავიდა.

საფრანგეთში მცხოვრებთა შორის, კარგად მახსოვს ამ სცენას დაესწრო ირ. მჭედლიშვილი, რომელსაც სიამოვნებით დაუბეჭდავ შენიშვნებს, თუ რამ ჩემს მოგონებაში მცდარათ მოეჩვენება, ვინაიდან ამ წერილის მიზანია სურათის უტყუარად აღდგენა და არა პოლემიკა.

(დასასრული იქნება.)

**დ. სინჯიკაშვილი.**

*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.*
*EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.*
*PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.*